INTERNATIONAL IDEA
INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

სტრატეგიის მოკლე მიმოხილვა

2015 წლის იანვარი

მიმოხილვა

დღევანდელ მსოფლიოში პოლიტიკა ძვირადღირებული საქმიანობაა, ამდენად, დღეს ფული ყველაზე დიდი საშიშროებაა დემოკრატიისათვის. პრაქტიკულად, რაც უფრო დიდია ფულის გავლენა პოლიტიკაზე, მით ნაკლებია მასში ცალკეული მოქალაქის ჩართულობის ძალა. დღეს, როგორც არასდროს ჭარბობს კომერციალიზირებული და ძვირადღირებული საარჩევნო კამპანიები. ფული განსაზღვრავს კანდიდატის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს - და ზოგჯერ გაიმარჯვოს კიდეც - არჩევნებში. ბევრ ქვეყანაში კამპანიაზე გაწეული დანახარჯების შემცირებისა და რამდენიმე მსხვილი დონორის გავლენის შემცირების აუცილებლობის საჭიროება დგას. 15 წელზე მეტია დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA) აქვეყნებს პუბლიკაციებს, ქმნის მონაცემთა ბაზებს და რჩევებს აძლევს მთავრობებსა და პოლიტიკოსებს მათი საფინანსო სისტემის ფორმირებაში. დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის 2014 წლის სახელმძღვანელოში პოლიტიკურ ფინანსებზე: *„პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება“*. ნათლად არის წარმოჩენილი, რომ პოლიტიკასა და ფულთან ასოცირებული სირთულეებისა და გამოწვევების გადასალახად ყველაზე დიდ ბარიერს წარმოადგენს არსებული წესებისა და რეგულაციების სუსტი იმპლემენტაცია და აღსრულება, და შესაბამისად, მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების პოლიტიკური ნების არარსებობა.

დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის შესახებ

დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA) სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია მდგრადი დემოკრატიის ხელშეწყობა მთელ მსოფლიოში.

www.idea.int

© International IDEA

ფული პოლიტიკაში

დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ხალხის კონტროლს გადაწყვეტილების მიღებაზე. იგი საშუალებას იძლევა, თეორიულად მაინც, შეიქმნას ისეთი სისტემა, სადაც მოქალაქეები და საარჩევნო კანდიდატები პოლიტიკაში ჩართული იქნებიან გამჭირვალე და თანაბარ პირობებში.

რაც უფრო დიდ გავლენას იძენს ფული როგორც ახალგაზრდა, ისე უკვე დიდი ხნის ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სისტემაში, მით უფრო ნათელი ხდება, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფაქტორია პოლიტიკური კურსის გასატარებლად და არჩევნებში სასურველი შედეგების მისაღწევად. მედია სავსეა კორუმპირებული პოლიტიკოსების, საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის, პოლიტიკაზე ნარკოტიკებით მოპოვებული შავი ფულის გავლენის, აგრეთვე მდიდარ დონორებსა და პოლიტიკოსებს შორის არსებული საეჭვო ალიანსების შესახებ სკანდალებით. ყოველივე ეს ძირს უთხრის პოლიტიკაში თანასწორ კონკურენციას. სწორედ ამიტომ, პოლიტიკაში ფულის არსებობა საჯარო დისკუსიის თემაა ბევრ ქვეყანაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის ხარჯვითი ნაწილის შეკვეცა. ბევრ ქვეყანაში საარჩევნო კამპანიაში ჩართული მსხვილი ფონდები (მათ შორის არაფულადი შემოწირულობა, ნატურალური ფორმით) თანაბარ პირობებში კონკურენციის საშუალებას უზღუდავს მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდება მსხვილ კერძო ფონდებზე. ზოგადად, საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსების ნაკლებობის დისპროპორციულობით განსაკუთრებით ქალი კანდიდატები იჩაგრებიან.

აუცილებელია ფონდების წარმომავლობისა და მიმართულების უფრო უკეთესი და გამჭირვალე რეგულირება. პოლიტიკის ფინანსირების კარგად ჩამოყალიბებული რეგულაციები, რომლებიც რეალობაში განხორციელებადი და მისაღებია ამა თუ იმ ქვეყნის კონტექსტში, პოლიტიკაში ფულისთვის პოზიტიური ძალის მინიჭების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს პოლიტიკურ პროცესებში, როგორც უშუალოდ არჩევნების დროს, ისე არჩევნებს შორის პერიოდშიც, საკუთარი როლის შესასრულებლად ესაჭიროებათ ფული. საჯარო დაფინანსება მთავარ როლს თამაშობს მსხვილი კერძო დონორების გავლენის შემცირებისა და დაბალანსების საქმეში, აგრეთვე ეხმარება პარტიებს ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში. მეტიც, თუკი საჯარო დაფინანსების მიღების პირობად პარტიის შიგნით გამჭვირვალე მმართველობა და გენდერული თანასწორობა დადგინდება, შესაძლოა ასეთი დაფინანსება მართლაც ამ მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებას მოხმარდეს.

სტრატეგიული კურსის რეკომენდაციები

დღევანდელ დემოკრატიულ პოლიტიკაში ფულის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი შემდეგ რეკომენდაციებს გთავაზობთ:

- ფონდების მოზიდვისა და საარჩევნო დანახარჯების ზრდის შეჩერება: ქვეყნებში, სადაც საარჩევნო კამპანიებზე დიდი თანხები იხარჯება, პოლიტიკური თამაშის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მსხვილი დონორების გავლენის შემცირება და ამომრჩეველისთვის იმის ჩვენება, რომ ფული არ მართავს პოლიტიკურ დღის წესრიგს. პოლიტიკოსებმა უნდა გამონახონ გზები, რათა შეწყდეს უფრო და უფრო მეტი დაფინანსების მოძიებისა და საარჩევნო ხარჯების გაზრდით შექმნილი შეჯიბრი. მარეგულირებელი ზომების მხრივ, საჭიროა საარჩევნო კამპანიის ხარჯვით ნაწილსა და შემოწირულობებზე ზღვარის დადგენა, მცირე შემოწირულობების ხელშეწყობა და პოლიტიკური პარტიებისათვის საჯარო დაფინანსებასა და არა-ფულადი მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- კერძო და საჯარო ფონდების ბალანსი. შესაბამისად გადანაწილებული და მართვადი საჯარო ფონდი პარტიებისათვის შესაძლოა კერძო დონორების საპირწონე კარგი კონტრ-

პოლიტიკაში ფულის საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილეთ:

- **IDEA-ს პოლიტიკური ფინანსების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 180 ქვეყნის პოლიტიკური დაფინანსების საკანონდებლო ბაზასა და რეგულაციებს, www.idea.int/political-finance.**
- **IDEA-ს სახელმძღვანელო *„პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება“*, წარმოადგენს პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების საკანონდებლო ჩარჩოებისა და შესაბამისი გამოწვევების, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების არაკეთილსინდისიერად გამოყენების, ფონდებზე არათანაბარი წვდომისა და უკანონო დაფინანსების საკითხების რეგიონალურ დონეზე მიმოხილვას. წიგნში მთელი თავი ეთმობა პოლიტიკაში ქალისა და ფულის ჩართულობას, და იძლევა რეკომენდაციებს შესაბამისი რეფორმების განსახორციელებლად.**

INTERNATIONAL IDEA
Strömsborg
SE–103 34 Stockholm
Sweden
ტელ: +46 8 698 37 00
ფაქსი: +46 8 20 24 22
ელ. ფოსტა: info@idea.int
ვებ გვერდი: www.idea.int
Facebook.com/InternationalIDEA
Twitter@Int_IDEA

ბალანსი გახდეს, რაც თავის მხრივ, პოლიტიკური პლურალიზმის გაზრდას უწყობს ხელს. ამასთან, პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა დაკარგონ კავშირი საკუთარ ამომრჩევლებთან და არ უნდა გახდნენ ზედმეტად დამოკიდებულნი საჯარო ფონდზე. სწორედ ამიტომ, კანონმდებლობის მიზანია პარტიებისა და კანდიდატების კერძო და სახელმწიფო წყაროებიდან ფინანსირების დაბალანსება და მოქალაქეებთან მათი მჭიდრო კავშირის დამყარების ფინანსური სტიმულირების უზრუნველყოფა.

- ფინანსირების დროს გენდერული თანასწორობის დაცვა. დაფინანსების ნაკლებობა და ფონდების მოძიების სიძნელეები ქალი პოლიტიკოსებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ბარიერად რჩება. პოლიტიკური დაფინანსების მარეგულირებელმა საკანონმდებლო ბაზამ შეძლებისდაგვარად უნდა გადაჭრას ეს პრობლემა. საჯარო დაფინანსება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ქალი კანდიდატების მხარდასაჭერად. აუცილებელია აგრეთვე თავად პოლიტიკურმა პარტიებმა შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი დაფინანსებაში გენდერული ბალანსის დასაცავად, მაგალითად, შიდაპარტიული რეფორმების გატარებით, რაც ხელს შეუწყობს ქალთა ჩართულობის გაზრდასა და მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.
- პარტიისა და კანდიდატის ფინანსური ინფორმაციის დოკუმენტირება და გამოქვეყნება. იშვიათია პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების (აღარაფერი რომ ვთქვათ მესამე მხარის) შემოსავლებისა და გასავლის სისტემატიური დოკუმენტირება. გამჭვირვალობის დაცვისა და საჯარო ნდობის მოსაპოვებლად აუცილებელია ინფორმაციის სისტემატიური, დროული და მარტივი გზით გაცემის წესების დაცვა.
- მეტი ყურადღება სამართლებრივი ნორმების დაცვასა და განხორციელებაზე. პოლიტიკასა და ფულის როლს შორის ურთიერთქმედებაში ყველაზე სუსტი რგოლია სამართლებრივი ნორმების ცუდად დაცვა და განხორციელება. სამართალდამცავ ორგანოებს ესაჭიროება ძლიერი იურიდიული უფლებამოსილება, რაც მოიცავს დამოუკიდებლობას მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პოლიტიკური მოთამაშეებისაგან და საკუთარი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანონო ფონდების მოხმარებისა და საბიუჯეტო სახსრების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად.
- რეგიონალური კოლეგიალური ქსელის შექმნა და მხარდაჭერა. ამჟამად რეგიონალურ დონეზე თითქმის არ არსებობს პოლიტიკაში ფულის მოძრაობის რეგულირების რაიმე ინიციატივა. საჭიროა შეიქმნას ისეთი ქსელი, რაც უზრუნველყოფს საზოგადო სტანდარტების, წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბებასა და ინსტიტუციონალიზაციას; გამოავლენს ნაკლოვანებებს, შეთავაზებს მხარდაჭერას და ცოდნის გაზიარებას. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი რეგიონალური ინიციატივის ევროპული მაგალითია, რაც მისაბაძია სხვა რეგიონებისთვის.
- პოლიტიკაში ფინანსების რეგულაციების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეთა მეტი ჩართულობა. წესების შერჩევის დროს პოლიტიკოსებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობა ჩვეულებრივი მოვლენაა. სამართლებრივი ნორმების შემუშავების პროცესში მონაწილეთა ფართომასშტაბიანი ჩართულობა, რაც მოიცავს როგორც მმართველ, ისე ოპოზიციურ პარტიებს, სამოქალაქო სექტორსა და სამართალდამცავ ორგანოებს, გაცილებით უკეთ პასუხობს ძირითად პრობლემებს, ვიდრე ცალკეული პოლიტიკოსის მოკლევადიანი ინტერესის დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მეტ ლეგიტიმაციას მატებს პარტიებს ამომრჩეველთა თვალში.
- საზოგადოებაში პარტიების მიერ სასურველი როლის თამაშის საბაზისო რეგულაციები. პოლიტიკური საქმიანობის ფინანსირების რეგულაციები განპირობებულია იმით, თუ რა როლს თამაშობენ პოლიტიკური პარტიები საზოგადოებაში - მოხალისე ორგანიზაციებიდან დაწყებული სახელმწიფო კომუნალური სამსახურების მსგავსად ჩამოყალიბებული ორგანიზაციებით დამთავრებული. ამდენად, მნიშვნელოვანი მომენტია რეგულაციების ჩამოყალიბების პროცესში ფართო განხილვებისა და დისკუსიების წარმოება თემაზე თუ როგორ უნდა იყოს ზოგადად ორგანიზებული პოლიტიკური ცხოვრება.
- ნაკლებეფექტური რეგულაციების გაუმჯობესება. პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის შემცირების პირობებში პატიოსნების გამოვლენა ეხმარება პარტიებს მოიპოვონ ამომრჩეველთა ნდობა. ამ მხრივ წამახალისებელია ფინანსური მმართველობის სისტემების ინსტიტუციონალიზირება, ღია და გამჭირვალე შიდა ფინანსური პროცედურების წარმართვა, ბუღალტერიაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. პარტიებისთვის ძალზედ მომგებიანია საზოგადოებასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით უკანონო ფონდების აღკვეთის საჯარო დემონსტრირება. ■